

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N136

ერთის მხრივ, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი თავმჯდომარის თინათინ ზოიძის სახით და მეორეს მხრივ, ააიპ „ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი“, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ბენაშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად (სატენდერო განცხადება (NAT210019875) კლასიფიკატორის კოდი - 80500000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

- 1.1. შესყიდვის ობიექტი: აჭარის არ მუნიციპალიტეტებში სოფლად არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგის ჩატარების მომსახურების გაწევა.
- 1.2 მიმწოდებელმა 2021 წლის 20 დეკემბრამდე უნდა განახორციელოს სატრენინგო მომსახურების დასრულება.
- 1.3 ინგლისური ენის ტრენინგი უნდა ჩატარდეს შემდეგ ლოკაციებსა და შემდეგი დონეების მიხედვით:
 - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგი. საშუალოს წინა (Pre Intermediate) დონე. მსმენელთა რაოდენობა არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 ადამიანისა ერთ ჯგუფად, ტრენინგის ხანგრძლივობა ჯგუფისთვის - 60 საათი.
 - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი, ელემენტარული (Elementary) დონე. მსმენელთა რაოდენობა არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 ადამიანისა ერთ ჯგუფად, ტრენინგის ხანგრძლივობა ერთი ჯგუფისთვის - 60 საათი.
 - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი, ელემენტარული (Elementary) დონე. მსმენელთა რაოდენობა არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 ადამიანისა ერთ ჯგუფად, ტრენინგის ხანგრძლივობა ჯგუფისთვის - 60 საათი.
 - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სახალვაშოში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი, საშუალოს წინა (Pre Intermediate) დონე. მსმენელთა რაოდენობა არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 ადამიანისა ერთ ჯგუფად, ტრენინგის ხანგრძლივობა ჯგუფისთვის - 60 საათი.
- 1.4 ტრენინგის ყველა დეტალი უნდა განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანხმებით.
- 1.5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **25300 (ოცდახუთი ათას სამასი) ლარს**, (ხარჯთაღრიცხვა დანართი N1 თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 1.6 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) ტრენინგი მოიცავდეს პრაქტიკულ მეცადინეობებს და გამახვილებული უნდა იყოს ყურადღება უშუალოდ საოჯახო ტიპის სასტუმროების საქმიანობის, ჯავშნების მიღების, ტურისტული ბიზნესის ტერმინოლოგია და საკითხები, უნდა შემუშავდეს კურსის პრაქტიკული სახელმძღვანელო მორგებული მათ საჭიროებებზე.
- ბ) კურსის დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან შეთანხმებით, უნდა შეიმუშაოს ყველა ტრენინგ-კურსის ჩატარების ცხრილი, რათა მოხდეს დეპარტამენტის სერვისის განვითარების ონლაინ პლათფორმაზე (serviceajara.ge) ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის ჩატარების შესახებ სატრენინგო კალენდარში ინფორმაციის განთავსება.
- გ) უზრუნველყოს ტრენინგ-კურსზე მონაწილეობის მიღების მსურველთა დარეგისტრირება აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სერვისის განვითარების ონლაინ პლათფორმაზე (serviceajara.ge).
- დ) ტრენინგ-კურსების დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული

- სხვადასხვა დონის მიხედვით ინგლისური ენის ტრენინგ-კურსის სასწავლო პროგრამა (სასწავლო თემატიკები).
- ე) ინგლისური ენის სპეციალური სახელმძღვანელო თავისი დამხმარე/დამატებითი სასწავლო მასალით (იგულისხმება ტურისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინები და მინი დიალოგები) და შესაბამისი აუდიო-ვიდეო მასალით წინასწარ უნდა იქნას შემუშავებული სასწავლო დონების (ელემენტარული და საშუალოს წინა დონე) მიხედვით წარმოდგენილი უნდა იქნას კურსის დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე. ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას დონების მიხედვით საგამოცდო ფორმა (ტესტი და/ან ზეპირი გამოკითხვის ბილეთები, რომლებიც შედგენილი იქნება სიტუაციების მიხედვით, მაგ. სტუმრის მიღება, საუბრე და ა.შ.) და მათი კურსზე გამოყენება მოხდება შემსყიდველთან შეთანხმებით. სასწავლო მასალა (სახელმძღვანელო (დაბეჭდილი აკინძული სახით) და დამატებითი სასწავლო მასალა) და საკანცელარიო ნივთები - რვეული და კალმები კურსის დასაწყისში უნდა დაურიგდეს მსმენელებს.
- ვ) აწარმოოს სასწავლო ჯგუფების დასწრებისა და კურსის ჩატარების კონტროლის ჟურნალი (აღნიშვნის ჟურნალის ფორმა შედგება შემსყიდველთან შეთანხმებით) და შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში შევა შემსყიდველის წარმომადგენელი ან წარმომადგენელთა ჯგუფი.
- ზ) კურსის მიმდინარეობის თითოეული დღისთვის უნდა უზრუნველყოს ერთი შესვენება (ლანჩის მენიუ შემსყიდველთან შეთანხმებით). წყალი, ყავა და ჩაი მუდმივად იქნება ხელმისაწვდომი მსმენელთათვის კურსის მსვლელობისას.
- თ) უზრუნველყოს ტრენინგ-კურსის მონაწილეთა ტრანსპორტირება ტრენინგის ჩასატარებელ ლოკაციებზე და უკან.
- ი) უზრუნველყოს ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგ-კურსისათვის აუცილებელი ტექნიკური საკითხები: სასწავლო დარბაზი (გათბობის/გაგრილების საშუალებით აღჭურვილი). სასწავლო დარბაზის შერჩევა სამივე ლოკაციაზე გეოგრაფიულად და შენობის მდებარეობისა და დარბაზის მოცულობის მიხედვით მოხდება შემსყიდველთან შეთანხმებით. ასევე მოწოდებულ უნდა იქნას კურსზე პროექტორი და ლეპტოპი, საკანცელარიო ნივთები, ინგლისური ენის სახელმძღვანელო და/ან სპეციალურად კურსისთვის შედგენილი დამატებითი სასწავლო მასალა და საკანცელარიო ნივთები.
- კ) უზრუნველყოს კურსის ჩატარების თითოეულ ლოკაციაზე ტრენინგების ტრანსპორტირება და კვება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტრენინგებისათვის ღამისთევა.
- ლ) შემსყიდველისგან მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლების (მაქსიმუმ 2 ადამიანი) კურსის ოთხივე ლოკაციაზე ტრანსპორტირება, კვება და ღამისთევა.
- მ) უზრუნველყოს ტრენინგ-კურსის ჩატარების ოთხივე ლოკაციისთვის აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ტრენინგ-კურსების მაუწყებელი ე.წ. „შტენდერი“ - 4 (ოთხი) ცალი, რომლის ზომა, მასალა და დიზაინი შეთანხმდება შემსყიდველთან.
- ნ) უზრუნველყოს შესაბამისი სერტიფიკატის დამზადება და ჩარჩოთი მოწოდება (ზომა, მასალა, დიზაინი და რაოდენობა შემსყიდველთან შეთანხმებით).
- ო) სატრენინგო მომსახურების გაწევისას დაცული უნდა იყოს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები. ასევე სასურველია კურსებზე მონაწილეები იყვნენ სრულად ვაქცინირებულები.
- პ) ტრენინგ-კურსის მიმდინარეობისას კოვიდ სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში, შემსყიდველთან შეთანხმებით, უზრუნველყოს ჯგუფებთან მეცადინეობა ონლაინ პლატფორმაზე, კერძოდ zoom-ზე. ასევე, მსმენელთა zoom ონლაინ პლატფორმაზე დარეგისტრირებას, ინსტრუქციების მიცემა და ონლაინ შეხვედრების ორგანიზება. შემსყიდველთან შეთანხმებით დასაშვებია ონლაინ მეცადინეობისათვის წინასწარ მოწოდებული ცხრილის კორექტირება. ყოველი სატრენინგო შეხვედრის ლინკს მომწოდებელი დაუზღავნის შემსყიდველის მხრიდან ტრენინგ-კურსის მაკონტროლებელ „სერვისის განვითარების სამსახურის“ წარმომადგენელს.
- ჟ) პანდემიიდან გამომდინარე, წესების და საჭიროების გათვალისწინებით, ადგილზე, თითოეულ სოფელში, ორგანიზება გაუკეთდეს სატრენინგო პროცესს.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) გადაუხადოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.
- ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ეკატერინე აბესაძე - სერვისის განვითარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

4. მომსახურების გაწევის პერიოდი და ადგილი

4.1. მომსახურების დასრულება მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2021 წლის 20 დეკემბრამდე.

4.2. ინგლისური ენის ტრენინგის ჩატარება უნდა მოხდეს აჭარის რეგიონის შემდეგ სოფლებში:

ა) ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაული;
(მსმენელთა რაოდენობა არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 ადამიანისა ერთ ჯგუფად, ტრენინგის ხანგრძლივობა ჯგუფისთვის - 60 საათი).

ბ) ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯოში;
(მსმენელთა რაოდენობა არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 ადამიანისა ერთ ჯგუფად, ტრენინგის ხანგრძლივობა ერთი ჯგუფისთვის - 60 საათი).

გ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ჩხუტუნეთი;
(მსმენელთა რაოდენობა არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 ადამიანისა ერთ ჯგუფად, ტრენინგის ხანგრძლივობა ჯგუფისთვის - 60 საათი).

დ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სახალვაშო;
(მსმენელთა რაოდენობა არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 ადამიანისა ერთ ჯგუფად, ტრენინგის ხანგრძლივობა ჯგუფისთვის 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი.

5. მომსახურების მიღება ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება გაწეული მომსახურების შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება- ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის, ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერი პირებია:

ა) თინათინ ზოიძე - დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ბ) თამარ კაკაციაშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

გ) ეკატერინე აბესაძე - სერვისის განვითარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარისწორებით ლარში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად დოკუმენტების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის

სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ქვეკონტრაქტორი

8.1. ქვეკონტრაქტორი არ დაიშვება.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ მიმწოდებელი დროულად არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. თუ მიმწოდებლის მხრიდან სახეზეა არაჯეროვანი შესრულება, გარდა ვადის გადაცილების შემთხვევებისა, და მიმწოდებლისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრას აზრი არ აქვს, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეუსრულებელი ვალდებულების 3%-ის ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის

გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<i>„შემსყიდველი“</i>	<i>„მიმწოდებელი“</i>
<i>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი</i>	<i>ააიპ ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი</i>
<i>საიდენტიფიკაციო კოდი - 245427809</i>	<i>საიდენტიფიკაციო კოდი - 416329761</i>
<i>ტელ: (+995) (422) 27 50 23</i>	<i>ტელ: +995571010503</i>
<i>მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #84/86</i>	<i>მისამართი: ქ.რუსთავი, შ.რუსთაველის ქ., კორ. 26, ბ. 13</i>
	საბანკო რეკვიზიტები:
	<i>სს „თიბისი ბანკი“</i>
	<i>ბანკის კოდი - TBCBGE22</i>
	<i>ა/ნ - GE52TB7423436080100007</i>
<i>დეპარტამენტის თავმჯდომარე</i>	<i>დირექტორი</i>
<i>თინათინ ზოიძე</i>	<i>გიორგი ბენაშვილი</i>

2021 წლის 10 ნოემბრის N 136 ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვა

დანართი N1

№	სატრენინგო მომსახურების დასახელება	საათების რაოდენობა (არანაკლებ)	სულ ფასი (ლარი)
1	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი	60	6325
2	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი	60	6325
3	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი	60	6325
4	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სახალვამოში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის ინგლისური ენის მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი	60	6325

სულ ჯამი 25300 ლარი